საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1050

12/07/2021

ქ. თბილისი

„შპს „ქეიჯი ენერჯი“-ს 2 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 5 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №ი-226 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 10 ივნისს სამინისტროს მომართა შპს „სილქ როუდ ენერჯის“ დირექტორმა და ითხოვა 2012 წლის 22 აგვისტოს გაცემული №31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ქეიჯი ენერჯის“ 2 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 5 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №31 (22/08/2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2017 წელს შპს „ქეიჯი ენერჯიმ“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „სილქ როუდ ენერჯის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო კოდით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ადგილზე არანაირი სამშენებლო სამუშაო არ განხორციელებულა. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს 2012 წლის 22 აგვისტოს №31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „შპს „ქეიჯი ენერჯი“-ს 2 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 5 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №ი-226 ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „სილქ როუდ ენერჯის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ქეიჯი ენერჯი“-ს 2 მგვტ სიმძლავრის „ბახვი 5 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №ი-226 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სილქ როუდ ენერჯის“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სილქ როუდ ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი